

შპს „ხელედულა ენერჯი“

ლენტეხის მუნიციპალიტეტში მდ. ხელედულაზე
„ხელედულა-3 ჰესის“ მშენებლობის და
ოპერირების პროექტი

დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა

სექტემბერი, 2018წ.

აბრევიატურები

CCO	თემთან ურთიერთობის ოფიცერი
EBRD	ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი
ESIA	ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება
ESAP	გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმა
FAQ	ხშირად დასმული კითხვები
PIC	საჯარო საინფორმაციო ცენტრი
PR	შესრულების მოთხოვნა (EBRD-ის)
SEP	დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა

სარჩევი

1.	შესავალი.....	4
2.	დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის (SEP) მიზანი	4
3.	პროექტის მიმოხილვა.....	5
4.	დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის მოთხოვნები	5
4.1.	საქართველოს საკანონმდებლო მოთხოვნები.....	5
4.1.1.	საზოგადოებრივი მონაწილეობის რეგულაციები ძველი კანონმდებლობის მიხედვით (2018 წლის 1 იანვრამდე)	6
4.1.2.	საზოგადოების ჩართულობის რეგულაციები 2018 წლის 1 იანვრის შემდგომ	6
4.2.	EBRD-ის მოთხოვნები.....	6
5.	დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის ჩატარებული და მიმდინარე აქტივობები	7
5.1.	გზშ-ს საჯარო განხილვები	7
5.2.	გზშ-ს გასაჯაროება	8
5.3.	ჩართულობა მიწის შესყიდვასა და კომპენსაციასთან დაკავშირებით.....	9
5.4.	ჩართულობა წანაშის სოფელთან.....	9
6.	დაინტერესებულ მხარეთა იდენტიფიცირება და ანალიზი.....	10
6.1.	დაინტერესებულ მხარეთა კატეგორიები	10
6.2.	შიდა და გარე დაინტერესებული მხარეების ჯგუფების გამოვლენა და მათი მოლოდინებისა და წუხილების ანალიზი	11
7.	დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის პროგრამა	13
7.1.	შესავალი და ძირითადი ელემენტები	13
7.2.	ინფორმაციის გასაჯაროება	13
7.3.	კონსულტაციები და ჩართულობა	14
7.4.	დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის პროგრამა.....	15
8.	საჩივრების მექანიზმი.....	27
9.	მონიტორინგი და ანგარიშგება.....	30
10.	ხშირად დასმული კითხვების ცხრილი.....	31

ცხრილების და ნახაზების ჩამონათვალი

ცხრილი 1.	დაინტერესებულ მხარეთა დამოკიდებულება/ინტერესი პროექტის მიმართ.....	11
ცხრილი 2.	დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის პროგრამა.....	16
ცხრილი 3.	დაინტერესებულ მხარეთა მოთხოვნებისა და საჩივრების მონაცემთა ბაზა.....	30
ცხრილი 4.	ხშირად დასმული კითხვები (FAQs).....	31
ცხრილი 5.	საჯარო კონსულტაციების შეკითხვათა რეესტრი	32

ნახაზი 1: ხელედულა-3 ჰესის ადგილმდებარეობა, საქართველო 4

ნახაზი 2. ხელედულა 3-ის საჩივართა მექანიზმის სქემა 29

1. შესავალი

საქართველოს მთავრობა მიზნად ისახავს ქვეყნის ჰიდროენერგო პოტენციალის განვითარებას, რათა დააკმაყოფილოს ქვეყანაში არსებული მოთხოვნა ელექტროენერგიაზე და გააუმჯობესოს ქვეყნის ენერგოუსაფრთხოება. ეროვნული ენერგო განვითარების სტრატეგიის ერთ-ერთი ნაწილია 51 მგვტ სიმძლავრის „ხელედულა-3 ჰესის“ მშენებლობა და ექსპლუატაცია რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო-სვანეთის რეგიონში, ლენტეხის მუნიციპალიტეტში, მდ. ხელედულასა და მდ. დევაშზე (ნახაზი 1).



ნახაზი 1: ხელედულა-3 ჰესის ადგილმდებარეობა, საქართველო

პროექტს ახორციელებს საქართველოში რეგისტრირებული კომპანია შპს „ხელედულა ენერჯი“ (შემდგომში „კომპანია“) - რომლის მიზანია, განახორციელოს „ხელედულა ჰესის პროექტის“ განვითარება, მშენებლობა და ექსპლუატაცია „მშენებლობა-ფლობა-ოპერირება“ ხელშეკრულების საფუძველზე.

2. დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის (SEP) მიზანი

პროექტის განხორციელებისთვის შპს „ხელედულა ენერჯი“ მიზნად ისახავს დაფინანსება მოიპოვოს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისგან (შემდგომში “EBRD“). EBRD-ის მოთხოვნების შესაბამისად პროექტს მიენიჭა A კატეგორია, რაც იმას ნიშნავს, რომ უნდა ჩატარდეს ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება (“ESIA“) და შემდგომ, ESIA-ს ანგარიში გასაჯაროვდეს. წინამდებარე დოკუმენტი, დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა (SEP), მომზადდა EBRD-ის მოთხოვნების მიხედვით ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების დამატებითი ანგარიშის პაკეტის ფარგლებში. იგი წარმოადგენს დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის პროცესს და გამოყოფს სისტემატიურ მიდგომას, რომელიც მიზნად ისახავს პროექტის განხორციელებისას

კომპანიამ განავითაროს და შეინარჩუნოს კონსტრუქციული ურთიერთობა საზოგადოებასთან. SEP არის ცოცხალი დოკუმენტი, რაც იმას ნიშნავს, რომ პროექტის განვითარებასთან ერთად უნდა მოხდეს მისი განახლება, კერძოდ იმ პერიოდშიც კი, სანამ პროექტი შევა ოპერირების ფაზაში.

3. პროექტის მიმოხილვა

„ხელედულა-3 ჰესის“ პროექტი ითვალისწინებს მდინარის მოდინებაზე მომუშავე ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას მდ. ცხენისწყლის ორ შენაკადზე: i) მდ. ხელედულასა და ii) მდ. დევაშზე. საპროექტო სქემის მიხედვით, დამბა 1 მოეწყობა მდ. ხელედულასა და მდ. ცხენისწყლის შესართავთან, სოფელ ხელედთან ახლოს, დაბა ლენტეხიდან 6 კმ-ის დაშორებით. აქედან, უდაწნეო გვირაბის საშუალებით წყლის გადაგდება მოხდება დევაშის ხეობაში, სადაც იგი შეუერთდება მდ. დევაშის წყალს მასზე დაგეგმილი დამბა-2-ის მეშვეობით, იგი მდ. ცხენისწყლის და მდ. დევაშის შეერთებიდან 2.5 კმ-ის დაშორებით მდებარეობს. შემდგომ, მიწისქვეშა მილის (წყალსაშვების) მეშვეობით წყლის მიწოდება მოხდება მდ. ცხენისწყლის მარჯვენა სანაპიროზე დაგეგმილ ჰესის შენობაში, დაბა ლენტეხიდან 1.5კმ-ს დაშორებით.

სახელმწიფო ქსელში ჰესის მიერ გამომუშავებული ელექტროენერჯის მიერთება გათვალისწინებულია ახალი ელექტროგადამცემი ხაზის მეშვეობით, რომლის მშენებლობასა და ოპერირებას განახორციელებს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“.

პროექტის შესახებ უფრო დეტალური ინფორმაციის მისაღებად, შეგიძლიათ იხილოთ პროექტის არატექნიკური რეზიუმე და ასევე, ESIA-ს ანგარიში, რომლებიც უკვე გასაჯაროებულია კომპანიის მიერ.

4. დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის მოთხოვნები

4.1. საქართველოს საკანონმდებლო მოთხოვნები

საქართველოს კონსტიტუცია (1995 წ.) წარმოადგენს საზოგადოების ინფორმაციაზე წვდომის გარანტიას და იცავს პირთა უფლებებს მიიღონ სრული, მიუკერძოებელი და დროული ინფორმაცია მათი სამუშაო და საცხოვრებელი გარემოს შესახებ. „ხელედულა-3 ჰესის“ პროექტის მსგავსად, საქართველოს კანონმდებლობა არეგულირებს დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობას მხოლოდ ეკოლოგიური ექსპერტიზის პროცესთან მიმართებაში (არ არსებობს არანაირი სამართლებრივი მოთხოვნა მშენებლობის თუ ოპერირების ფაზებისთვის).

2018 წლის 1 იანვრამდე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაცემას არეგულირებდა „საქართველოს კანონი გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ (2007 წ.); „საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ“ (1996 წ.); „საქართველოს კანონი ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ (2005 წ.); „საქართველოს კანონი ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ“ (2007 წ.). 2018 წლის 1 იანვრიდან „საქართველოს კანონი გარემოზე ზემოქმედების ნებართვის და ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ“ ჩაანაცვლა „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსმა“ (2017 წ.¹).

¹ ახალი კოდექსის მუხლები თანდათანობით ძალაში შევიდა მისი მიღების შემდგომ 2017 წლის 1 ივნისი.

4.1.1. საზოგადოებრივი მონაწილეობის რეგულაციები ძველი კანონმდებლობის მიხედვით (2018 წლის 1 იანვრამდე)

პროექტმა ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა 2017 წლის 25 მაისს მიიღო. „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის კანონის“ შესაბამისად, რომელიც ძალაში იყო იმ დროისთვის, პროექტის განმახორციელებელმა მოამზადა გზშ-ს ანგარიში და უზრუნველყო საზოგადოების ჩართულობა, როგორც აღწერილია წინამდებარე დოკუმენტის თავი 5.1.-ში.

4.1.2. საზოგადოების ჩართულობის რეგულაციები 2018 წლის 1 იანვრის შემდგომ

ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების ხელშეკრულების (2014 წ.) ფარგლებში, საქართველომ აიღო გარემოსდაცვითი კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის ვალდებულება. „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსში“ გათვალისწინებულია მუხლები, რომლებიც უზრუნველყოფენ საზოგადოების ინფორმირებასა და ჩართულობას გზშ-ს პროცესის ყველა საფეხურზე და გადაწყვეტილების მიღების პროცესში. კერძოდ, საზოგადოების ინფორმირება ხდება სკრინინგის, სკოპინგის, გზშ-ს ანგარიშის მომზადების და გადაწყვეტილების მიღების პროცესში (გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებისას, რომელიც ადრე ცნობილი იყო, როგორც „ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა“).

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მიხედვით, საჯარო განხილვების პროცედურა გულისხმობს საზოგადოების ინფორმირებას განცხადების გამოქვეყნების საშუალებით სკოპინგის და გზშ-ს განხილვის ეტაპებზე. საზოგადოების ინფორმირება და განხილვები უნდა ორგანიზებულ იქნეს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ. ინფორმაცია საჯარო განხილვების შესახებ უნდა გამოქვეყნდეს არაუადრეს 10 დღისა სკოპინგის განხილვამდე და არაუგვიანეს 20 დღისა გზშ-ს ანგარიშის განხილვამდე. სამინისტროს წარმომადგენელი ვალდებულია ჩაატაროს საჯარო განხილვები/შეხვედრები, შეადგინოს შეხვედრის ოქმი და პასუხისმგებელია შედგენილი ოქმის სიზუსტეზე (მუხლი 8 და 9). გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემისას, სამინისტრო ვალდებულია გაითვალისწინოს საზოგადოების და სხვა ადმინისტრაციული ორგანოების მიერ წარმოდგენილი შენიშვნები და მოსაზრებები.

4.2. EBRD-ის მოთხოვნები

EBRD-ის გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკის (2014 წ.) მიხედვით, აღნიშნული პროექტი მიეკუთვნება A კატეგორიას. ეს კი ნიშნავს, რომ პროექტის განხორციელებამ შესაძლოა იქონიოს მნიშვნელოვანი უარყოფითი ზეგავლენა ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე და საჭიროებს გზშ-ს ანგარიშის შედგენას. ამ კატეგორიის პროექტების ერთ-ერთი მოთხოვნაა, ასევე საზოგადოების ინფორმირება და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის მომზადება და განხორციელება. საზოგადოების ჩართულობის ძირითადი მოთხოვნები წარმოდგენილია EBRD-ის შესრულების მოთხოვნებში (PRs) 1 და 10.

EBRD-ის მოთხოვნები ზოგადად შესაბამისობაშია საქართველოს რეგულაციებთან, თუმცა ამავედროულად განსხვავდება მთელ რიგ მნიშვნელოვან ასპექტში. ეს განსხვავებები შეიძლება შევაჯამოთ შემდეგნაირად:

- EBRD-ის პოლიტიკა დაინტერესებულ მხარეთა კონსულტაციებს განიხილავს, როგორც მიმდინარე პროცესს, რომელიც გრძელდება პროექტის განხორციელების მთელ მანძილზე;
- დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა მოიცავს (i) დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირებას და ანალიზს, განსაკუთრებული აქცენტი უნდა გაკეთდეს ზეგავლენის ქვეშ მოქცეულ მხარეებთან დიალოგის ორგანიზებაზე (ყურადღება უნდა მიექცეს მოწყვლად ჯგუფებს, რომელთა ინტერესები შეიძლება დაზიანდეს პროექტის

განხორციელების შედეგად); (ii) დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა უნდა დაიგეგმოს მორგებული საკონსულტაციო მეთოდებით (ინფორმაციის განსაჯაროება, შეხვედრები, მრგვალი მაგიდა, საჯარო განხილვები, ფოკუს ჯგუფები და ა.შ.) და (iii) დაინტერესებული მხარეებისთვის რეგულარულად ანგარიშის მიწოდება;

- დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის ბუნება და სიხშირე უნდა იყოს პროექტის ბუნებისა და მასშტაბის პროპორციული და ასევე, მის შესაძლო უარყოფით ზეგავლენის საზოგადოებაზე, გარემოს სენსიტიურობისა და საზოგადოების ინტერესის დონის პროპორციული;

აუცილებელი მოთხოვნაა საჩივრებზე ეფექტური რეაგირების მექანიზმის შექმნა, რათა დროულად მოხდეს შესაძლო კონფლიქტების პრევენცია და/ან მოგვარება.

5. დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის ჩატარებული და მიმდინარე აქტივობები

5.1. გზშ-ს საჯარო განხილვები

პროექტმა ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა 2017 წლის მაისში მიიღო: საზოგადოების ჩართულობის აქტივობები განხორციელდა ძველი კანონმდებლობის შესაბამისად და ასევე, კომპანიამ ჩაატარა დამატებითი ქმედებები, რომლითაც არ იყო კანონმდებლობით მოთხოვნილი. ჯამში, გზშ-ს ფარგლებში ჩატარებულ შეხვედრებს ესწრებოდა სულ 71 ადამიანი², ამათგან 23 ქალი:

- პირველი საინფორმაციო შეხვედრა ჩატარდა 2016 წლის 4 თებერვალს ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში, რომლის სამიზნეს წარმოადგენდა ლენტეხის გამგეობის და ხელედის თემის წარმომადგენლები (ესწრებოდა 7 ადამიანი). აღნიშნული შეხვედრა ჩატარდა ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნაზე დამატებით.
- 2016 წლის 10 აპრილს სკოპინგის ფარგლებში ორი შეხვედრა ჩატარდა სოფელ წანაშის და ხელედის მოსახლეობასთან რიგ-რიგობით. სულ ესწრებოდა 33 ადამიანი, ასევე ლენტეხის მერის წარმომადგენელი სოფელ ხელედში (სოფლის გამგებელი). აღნიშნული შეხვედრა ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნაზე დამატებით ჩატარდა.
- გზშ-ს სკოპინგის შეხვედრა ჩატარდა 2016 წლის 11 აპრილს ლენტეხის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (ესწრებოდა 15 კაცი, მათ შორის სოფელ ხელედის წარმომადგენლები, ხელედის გამგებელი და ლენტეხის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები).
- 2016 წლის 2 სექტემბერს ლენტეხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში გაიმართა გზშ-ს საჯარო განხილვა. (16 ადამიანი ესწრებოდა, ასევე გარემოს დაცვის სამინისტროს წარმომადგენელი და ხელედის გამგებელი)³.

შეხვედრის მონაწილეთა მიერ დასმული კითხვები ეხებოდა შემდეგ საკითხებს:

- ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების შესაძლებლობები;
- სოციალური პროექტები თემის მხარდასაჭერად;
- მიწის შესყიდვის საკითხები;
- უფასო ან შეღავათიანი ელექტროენერჯია;
- გეოლოგიური კვლევები;

² ამ რიცხვში არ შედის კომპანიის თანამშრომლები და კონსულტანტები.

³ 2017 წლის სექტემბერში ჩატარებული საჯარო განხილვის ოქმი წარმოდგენილია ESIA ანგარიშის მე-11 თავში; სხვა შეხვედრის ოქმები ხელმისაწვდომია კომპანიის ოფისში.

- მდინარის ნატანის და წყლის ნაკადის მართვა;
- საპროექტო სქემის სხვა საკითხები, როგორცაა სოფელ ხელედში მდინარის ფერდობების გამაგრება, დამბების სიმაღლე, მშენებლობის ხანგრძლივობა, გვირაბიდან გამოტანილი ფუჭი ქანების ტიპები, გვირაბების გამტარიანობა, პროექტთან დაკავშირებული რისკები და ა.შ.

კომპანიამ გაითვალისწინა საზოგადოებისგან მიღებული კითხვები და შენიშვნები საპროექტო დიზაინის და გზშ-ს ანგარიშის შემუშავებისას თავისი პასუხისმგებლობის ფარგლებში. მაგალითად, კომპანიამ ვალდებულებად აიღო დაასაქმოს ადგილობრივი მუშახელის 70% (200-300 ადამიანი მშენებლობის დროს და 40-50 კაცი ჰესის ექსპლუატაციაში გაშვებისას); მდინარის ფერდობების გამაგრება პროექტის ტექნიკური დიზაინის ერთ-ერთ ნაწილს წარმოადგენს; უფასო/იაფი ელექტროენერჯის მიწოდება სცილდება კომპანიის კომპეტენციას და აღნიშნული საკითხი რეგულირდება საქართველოს სახელმწიფოს მიერ; გეოლოგიური კვლევები ჩატარდა და დასკვნები წარმოდგენილია გზშ-ს ანგარიშში; მოსახლეობას განუმარტეს, რომ პროექტს ექნება მდინარის ნაკადის შემარბილებელი ეფექტი, რაც მოსახლეობას დატბორვისგან დაიცავს; მიწის შესყიდვის საკითხები განხილული იყო, როგორც ჯგუფურად, ასევე ინდივიდუალურად.

პროექტის დიზაინის ოპტიმიზაციის მიზნით, დაბმა 2-დან ჰესის სააგრეგატო შენობამდე გათვალისწინებული სადაწნეო გვირაბის ნაცვლად გადაწყდა მიწისქვეშა მილის გაყვანა, ამ ცვლილებისთვის კომპანიამ მიმდინარე წელს მიიღო ახალი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება. „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მიხედვით, პროექტის დიზაინში შეტანილი ცვლილებების გამო, 2018 წლის 28 მაისს დაბა ლენტეხსა და სოფელ ხელედში გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ჩაატარა გზშ-ს ანგარიშის სკოპინგის შეხვედრები. პროცესი ისევ გრძელდება და პროექტის დიზაინის ცვლილების ESIA-ს ანგარიშის გასაჯაროება მოხდება პროექტის ვებ-გვერდის საშუალებით.

5.2. გზშ-ს გასაჯაროება

ქართული კანონმდებლობის შესაბამისად, კომპანიამ საჯარო განხილვების ჩატარებამდე გზშ-ს ანგარიში საკუთარ ვებ-გვერდზე გამოქვეყნა. საჯარო განხილვა 2016 წლის 2 სექტემბერს გაიმართა ლენტეხის მუნიციპალიტეტში. „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის“ (2007 წ.) მიხედვით, საჯარო განხილვების შესახებ განცხადება გამოქვეყნდა გაზეთში „საქართველოს რესპუბლიკა“ (2016 წლის 13 ივლისს)⁴.

განცხადების გარდა, გზშ-ს ანგარიში, თავისი თანდართული დოკუმენტებით გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ⁵ 2016 წლის 21 ივლისს გამოაქვეყნა საკუთარ ვებ-გვერდზე.

გზშ-ს ბეჭდური ვერსია საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი იყო შემდეგ ოთხ ადგილას:

- ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში;
- თბილისში, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში;
- თბილისში, შპს „ხელედულა ენერჯი“-ს ოფისში;
- თბილისში, გზშ-ს კონსულტანტი კომპანია შპს „გამა კონსალტინგი“-ს ოფისში.

⁴ საჯარო განხილვის შესახებ განცხადების გამოქვეყნება ადგილობრივ გაზეთში „სვანეთი“ შეუძლებელი იყო, რადგან გაზეთი გამოდის თვეში ერთხელ და გამოცემის თარიღი არ ემთხვეოდა პროცედურით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

⁵ <http://www.moe.gov.ge/ka/დოკუმენტები/2016-07-21-lentexis-municipalitetshi-shps>

საზოგადოებას გზმ-ს ანგარიშზე შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმისთვის მიეცა საკმარისი დრო (50 დღე).

გარდა ზემოაღნიშნულისა, 2016 წელს მომზადდა პროექტის საინფორმაციო ბროშურა და 2016-2017 წლებში ჩატარებული შეხვედრების/კონსულტაციების დროს დაურიგდათ დაინტერესებულ პირებს. ბროშურა შეიცავდა პროექტის შესახებ ზოგად ინფორმაციას და მიწის შესყიდვის პროცედურებს.

5.3. ჩართულობა მიწის შესყიდვასა და კომპენსაციასთან დაკავშირებით

პროექტი საჭიროებს 189 203 მ² მიწის ნაკვეთს, ამათგან 54% (101 916 მ²) სახელმწიფო საკუთრებაა, რომელიც იჯარით გაიცა. დარჩენილი 87 287 მ² წარმოადგენს 53 მიწის ნაკვეთს და 25 ოჯახის კერძო საკუთრებას. წინამდებარე დოკუმენტის შედგენისას, 53 ნაკვეთიდან 52 ნაკვეთი უკვე რეგისტრირებულია კერძო საკუთრებად (დარჩენილი იყო ერთი ნაკვეთი, რომლის რეგისტრაციის საქმისწარმოება უკვე დაწყებულია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიწის ნაკვეთების რეგისტრაციისას მოსახლეობას ეხმარებოდა თავად კომპანია). რეგისტრირებულთაგან ნაკვეთი უკვე შეძენილია/იჯარით აღებულია კომპანიის მიერ. კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები განკუთვნილია იმ ნაგებობებისთვის, რომელთა გადატანა შესაძლებელია (მაგ., მისასვლელი გზები, სამშენებლო ბანაკები და სანაყაროები), იმ შემთხვევაში, თუ მესაკუთრე არ მოისურვებს მიწის ნაკვეთის გაყიდვას. შესაბამისად, არ განხორციელდება მიწის იძულებითი შესყიდვა.

მიწის შესყიდვის პარალელურად, კომპანია აწარმოებდა მოლაპარაკებებს და კონსულტაციებს პროექტის ზეგავლენაში მოქცეულ მოსახლეობასთან 2016 წლის ზაფხულში შპს „ხელედულა ენერჯი“-ს დაკვეთით ჩატარდა კვლევა პროექტის ზეგავლენაში მოქცეული მოსახლეობის გამოსავლენად და ქონების შეფასების და მიწის ნაკვეთების რეგისტრაციის პარალელურად დაიწყო მოლაპარაკებები მოსახლეობასთან. კომპანიის დირექტორმა ყოველთვიურად ატარებდა, როგორც ჯგუფურ, ასევე ინდივიდუალურ შეხვედრებს არა მარტო მიწის, არამედ სხვა საკითხებთან დაკავშირებით.

კომუნიკაციის პროცესის გასაძლიერებლად, 2017 წლის შემოდგომაზე კომპანიამ აიყვანა თემთან ურთიერთობის ოფიცერი (CCO), რომელიც თავად ადგილობრივმა მოსახლეობამ დაასახელა. CCO კვირაში 3-5 დღე ხვდება მოსახლეობას და აწვდის ინფორმაციას, როგორ მიწის, ასევე პროექტთან დაკავშირებით სხვა საკითხებზეც. მიწის მესაკუთრეებს/მოსარგებლეებს ხოლმე კოლექტიურად ან ინდივიდუალურად ხვდება კომპანიის წარმომადგენელი და ინფორმაციას აწვდის მიწის შესყიდვის პროცესზე. მესაკუთრეებს ეძლევა იურიდიული კონსულტაცია იმ შემთხვევაში, თუ მიწის ნაკვეთი არ არის დარეგისტრირებული და სთავაზობენ კომპენსაციას (ქონების შეფასებისა და შესაბამისი მოლაპარაკებების საფუძველზე). თანხმობის შემთხვევაში, კომპანია და მესაკუთრეები ხელს აწერენ ხელშეკრულებას. ყველა ხელშეკრულება არის ოფიციალური დოკუმენტი და რეგისტრირდება საჯარო რეესტრში. კომპანია ძალისხმევას არ იმუშრებს, რომ იმოქმედოს კანონის შესაბამისად დაინტერესებული მხარეების სასარგებლოდ.

5.4. ჩართულობა წანაშის სოფელთან

სოფ. წანაში სოფ. ხელედსა და დაბა ლენტეხს შორის მდებარეობს. მიწის შესყიდვისა და საარსებო გარემოს აღდგენის თვალსაზრისით, იგი არ არის პირდაპირი ზემოქმედების ქვეშ მოქცეული. სოფლის ნაწილობრივ ტერიტორიაზე ხდება მდ. ხელედულას მარცხენა შენაკადის მდ. წანაშის მიერ ღვარცოფული მასალის ჩამოტანა და აკუმულაცია. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ადგილი არ ექცევა პროექტის ზეგავლენის ქვეშ, სოფლის ზოგიერთი წარმომადგენელი გამოხატავს უკმაყოფილებას კომპანიის მიმართ და აკრიტიკებს წარსულში ხელისუფლების უმოქმედებას ბუნებრივი კატასტროფების შემცირების კუთხით.

რადგანაც შპს „ხელედულა ენერჯი“-სთვის აღნიშნული საკითხი ცნობილი იყო, კომპანიამ წანაშის დაინტერესებული მხარეები და სახელმწიფო წარმომადგენლები კონსულტაციებში თავიდანვე ჩართო. პროექტის ფარგლებში ჩატარდა შემდეგი შეხვედრები:

1. 2018 წლის 1 მარტს კომპანიის წარმომადგენლები შეხვდნენ წანაშის მოსახლეობას პროექტთან დაკავშირებით და შეხვედრის დასრულების შემდგომ მიაწოდეს წერილობითი პასუხები მოსახლეობის მხრიდან დასმულ კითხვებზე;
2. 2018 წლის 12 მარტს წანაშის მოსახლეობასთან შეხვედრა გაიმართა ლენტეხის გამგეობაში და სოფელ ხელედში;
3. 2018 წლის 18 აპრილს ლენტეხის გამგეობის შენობაში წანაშის მოსახლეობასთან გაიმართა მორიგი შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე რომეო მუქაუტაძე და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ნინო თანდილაშვილი.
4. 2018 წლის 7-9 ივნისს კომპანიისა და „ანადოლუ გრუპის“ წარმომადგენლები შეხვდნენ საპროტესტო აქციის მონაწილეებს და წერილობით უპასუხეს მათ კითხვებს;
5. 2018 წლის 26 ივნისს, ლენტეხის მუნიციპალიტეტში, კომპანიის წარმომადგენლები შეხვდნენ სოფელ წანაშის სამ წარმომადგენელს;
6. 2018 წლის 19 ივლისს „ანადოლუ გრუპის“ წარმომადგენლები შეხვდნენ აქციის მონაწილეებს და მიაწოდეს წერილობითი პასუხი;
7. 2018 წლის 27 ივლისს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე გიორგი ჩიქოვანი და კომპანიის ოფიციალური პირები შეხვდნენ აქციის მონაწილეებს;

მოსახლეობასთან შეხვედრები და მათი ჩართულობა კიდევ გრძელდება, კომპანიამ აიღო ვალდებულება, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებთან კვლავ გააგრძელებს დიალოგის ფასილიტაციას. კომპანიამ ასევე ნებაყოფლობით აიღო შემდეგი ვალდებულებები:

- პროექტის განმავლობაში, როგორც კი მოხდება ღვარცოფი ნატანის აკუმულირება მდინარის კალაპოტში, მოხდება მისი გასუფთავება მძიმე ტექნიკის გამოყენებით;
- სოფლის მაცხოვრებლების სურვილის შემთხვევაში კომპანია უზრუნველყოფს მიაწოდოს სოფელს სასმელი წყალი.

კომპანიამ ასევე დაადასტურა, რომ გვირაბის გაყვანის სამუშაოები განხორციელდება არა აფეთქებით, არამედ გვირაბგასაყვანი კომბაინის გამოყენებით.

6. დაინტერესებულ მხარეთა იდენტიფიცირება და ანალიზი

6.1. დაინტერესებულ მხარეთა კატეგორიები

დაინტერესებული მხარეები პირობითად ორ დიდ კატეგორიად იყოფა:

- **შიდა დაინტერესებული მხარეები**, რომელიც გულისხმობს კომპანიის მენეჯმენტს, თანამშრომლებს, ინვესტორებსა და მეწილეებს, ასევე კონტრაქტორებსა და ქვეკონტრაქტორების;
- **გარე დაინტერესებული მხარეები**, რომელიც მოიცავს ორგანიზაციებს, ცალკეულ პირებს, რომლებიც პირდაპირ დასაქმებულნი არ არიან შპს „ხელედულა ენერჯიში“, ასევე მათ პარტნიორებს/(ქვე)კონტრაქტორებს, ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების

წარმომადგენლებს, რომლებიც ჩართულნი არიან პროექტის დამტკიცების პროცესში, ზეგავლენის ქვეშ მყოფ თემებს და პროექტით დაინტერესებულ საზოგადოებას.

წინამდებარე დოკუმენტში წარმოდგენილია კომპანიის ურთიერთობა ორივე კატეგორიის დაინტერესებულ მხარესთან.

6.2. შიდა და გარე დაინტერესებული მხარეების ჯგუფების გამოვლენა და მათი მოლოდინებისა და წახილების ანალიზი

ეფექტური და მორგებული ჩართულობისთვის, პროექტის გარე დაინტერესებული მხარეები დაიყო შემდეგ ჯგუფებად:

- პოტენციურად ზეგავლენის ქვეშ მყოფი და პირდაპირი ინტერესის მქონე მხარეები;
- მოწყვლადი ჯგუფები,
- სამთავრობო უწყებები,
- ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოები,
- სხვა დაინტერესებული მხარეები (სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციები, მასმედია, უმაღლესი სასწავლებლები, ბიზნესი და ა.შ.).

შიდა დაინტერესებული მხარეთა ჯგუფებია - კომპანიის თანამშრომლები, ასევე პროექტში ჩართული კონტრაქტორები/ქვეკონტრაქტორები.

თითოეული ჯგუფი აღწერილია ცხრილი 1-ში, ასევე მოცემულია მათი დამოკიდებულება და ინტერესი პროექტთან მიმართებაში.

ცხრილი 1. დაინტერესებულ მხარეთა დამოკიდებულება/ინტერესი პროექტის მიმართ

დაინტერესებული მხარე	დამოკიდებულება/ინტერესი
გარე დაინტერესებული მხარეები	
პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი პირები	
სოფელ ხელედის მაცხოვრებლები	<ul style="list-style-type: none"> ▪ მიწის შესყიდვა, ასევე სამშენებლო სამუშაოების წარმოება ▪ შეიძლება სარგებელი მიიღონ დასაქმების შესაძლებლობით და ა.შ. ▪ დაინტერესებულნი არიან პროექტის განვითარებით
ხელედის, წანაშის, ლესემას და ლენტეხის მაცხოვრებლები.	აღნიშნული სოფლები ზეგავლენის ქვეშ შეიძლება მოექცეს სამშენებლო სამუშაოების შედეგად; ისინი კვეთენ/მდებარეობენ ლენტეხი-ბავარის გზაზე, რომლის გამოყენებაც მოხდება სამშენებლო ტრანსპორტის გადაადგილებისას; ზეგავლენის ქვეშ შესაძლოა მოექცნენ ჰესის შენობასთან 300 მეტრიანი გზის მონაკვეთის გადატანის შემთხვევაში, დაბა ლენტეხში მისვლამდე.
ადგილობრივი მეთევზეები (ხელედიდან, წანაშიდან, ლესემასა და ლენტეხიდან).	დაინტერესებულნი არიან თუ რა ზეგავლენა ექნება პროექტს სათევზაო ადგილებსა და თევზის მარაგზე.
მოწყვლადი ჯგუფები	
პენსიონერები, უზუცესები, მრავალშვილიანი ოჯახები, მარჩენალ დაკარგული ოჯახები (ასევე იგულისხმება ის ოჯახები, რომელთა მარჩენალი მხოლოდ ქალია), სიღარიბის ზღვარს ქვემოთ რეგისტრირებული ოჯახები, შშმ პირები,	მოწყვლად მოსახლეობას ხელი ნაკლებად მიუწვდება ინფორმაციაზე, ან შესაძლოა დასჭირდეთ რაიმე კონკრეტული სახის დახმარება მათი უფლებების დასაცავად.

დაინტერესებული მხარე	დამოკიდებულება/ინტერესი
იძულებით გადაადგილებული პირები (დევნილები) ⁶	
მუნიციპალური და ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოები	
ლენტეხის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი საბჭოს (გამგეობის) წარმომადგენელი სოფელ ხელედში	<ul style="list-style-type: none"> ▪ მონაწილეობს და ადასტურებს მიწის საკუთრებას ▪ აწვდის ინფორმაციას ლენტეხის მუნიციპალიტეტს და კომპანიას მოსახლეობის პრობლემებისა და მოლოდინების შესახებ
ლენტეხის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები	<ul style="list-style-type: none"> ▪ მჭიდროდ არიან ჩართულნი პროექტის ობიექტების განლაგებაში ▪ გარემოს დაცვის სამინისტროსთან ერთად, ორგანიზებას უკეთებენ საჯარო შეხვედრებს (2018 წლის მარტიდან დღემდე) ▪ შუამდგომლობენ კომპანიასა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის
სამთავრობო უწყებები (და მათი რეგიონალური ოფისები)	
გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, რეგიონალური განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, მათ შორის საქართველოს გზების დეპარტამენტი, შინაგან საქმეთა სამინისტრო, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი ლენტეხში და ა.შ.	<ul style="list-style-type: none"> ▪ სხვადასხვა ნებართვების გაცემა, პროექტის ზედამხედველობა და ინსპექცია ▪ პროექტის ზეგავლენის ქვეშ მოქცეული ტყე ▪ ჰესის მშენებლობის და ოპერირებისას კომპანიის შესაბამისობის კონტროლი საქართველოს ენერჯო პოლიტიკასთან ▪ საგზაო დეპარტამენტის წარმომადგენლებთან შეთანხმება/კოორდინირება, რადგანაც პროექტი მოითხოვს მუნიციპალური გზის ზოგიერთი ნაწილის რეაბილიტაციას, მისასვლელი გზების მშენებლობას და დაგეგმილი ჰესის შენობასთან არსებული ქუთაისი-ლენტეხის გზის მონაკვეთის გადატანას (პროექტის დიზაინი უკვე შემუშავებულია და მშენებლობისთვის ყველა საჭირო ნებართვა აღებული) ▪ ენერჯისტიკა/ელექტრო-ოპერატორი, ეროვნულ ქსელში მიერთება, ჰესის მიერ გამოიმუშავებული ელექტროენერჯის შესყიდვა სახელმწიფოს მიერ და ა.შ.
სხვა დაინტერესებული მხარეები	
ჯომარდობის სერვისის მიმწოდებლები და ტურისტები	ინტერესი პროექტის სიახლეებზე და ასევე მდ. ხელედულაზე ჯომარდობის აქტივობების შეზღუდვების შემთხვევაში
არასამთავრობო ორგანიზაციები:	<ul style="list-style-type: none"> ▪ მუშაობენ ისეთ საკითხებზე, როგორცაა ენერჯეტიკა, ფინანსები/სამართალი, მედიცინა-რეაბილიტაცია, ქალთა უფლებები, ადამიანთა უფლებები, გარემოს დაცვა, ზრდასრულთა ტრენინგები და განათლება, თემთა განვითარება. ▪ შესაძლოა კომპანიის თანამშრომლობა აქტიურ არასამთავრობო ორგანიზაციებთან რეგიონში. ამჟამად ორგანიზაცია „აფხაზინტერკონტი“ ახორციელებს პროექტს „ტურიზმი სოფლად, როგორც რეგიონის სოფლის ეკონომიკური განვითარების პოტენციალი და სიღარიბის შემცირების გზა რაჭა, ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის რეგიონში“.
აკადემიური და სამეცნიერო საზოგადოების წარმომადგენლები	<ul style="list-style-type: none"> ▪ დაინტერესებულნი მონაწილეობა მიიღონ ESIA-ს პროცესში და/ან სოციალური და გარემოსდაცვითი საკითხების განხილვაში; ▪ დაინტერესებულნი კურსდამთავრებულთა/სტაჟიორთა დასაქმებაში.

⁶ ცნობილია იძულებით განსახლებულ პირთა 2 ოჯახი.

დაინტერესებული მხარე	დამოკიდებულება/ინტერესი
ადგილობრივი და რეგიონალური ბიზნესის წარმომადგენლები	დაინტერესებულნი სამშენებლო მასალების, კვებითი ობიექტების, კომუნალური მომსახურების: ნარჩენების გადაყრა, ელექტროენერგია, გაზი, წყალმომარაგება, მუშების ტრანსპორტირება, ვიზიტორთა განთავსების ობიექტები და ა.შ. მიწოდებით.
მასმედია ⁷ : გაზეთი „სვანეთი“, ინტერნეტ-პორტალი „სვანეთი ინფო“ (დაფარვის ზონა: მუნიციპალიტეტი და რეგიონი); ეროვნული ტელევიზია, გაზეთები და ა.შ.	დაინტერესებულნი მიაწოდონ ინფორმაცია პროექტის სიახლეების შესახებ, ასევე გარემოს დაცვით და სოციალურ ზეგავლენებზე.
შიდა დაინტერესებული მხარეები	
მუშები	დაინტერესებულნი სამუშაო პირობებით და საჩივრების მექანიზმით, შესაბამისობა ჯანდაცვის, უსაფრთხოების და ქცევის პროცედურებთან.
სამუშაოს მაძიებელი	დასაქმების შესაძლებლობები

7. დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის პროგრამა

7.1. შესავალი და ძირითადი ელემენტები

დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის პროგრამა ეფექტური ჩართულობის სამ ძირითად პრინციპს ეფუძნება: (1) დაინტერესებული მხარეებისთვის, კერძოდ კი - პროექტის ზეგავლენის ქვეშ არსებული მხარეებისთვის დროული და შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება; (2) გონივრული ორმხრივი საკონსულტაციო აქტივობები; (3) კონფლიქტის პრევენციისა და პრობლემის გადაწყვეტის მიზნით საჩივრების განხილვის მექანიზმის შემუშავება.

7.2. ინფორმაციის გასაჯაროება

დაინტერესებულ მხარეებს პროექტის შესახებ ექნებათ წვდომა სრულ და სანდო ინფორმაციაზე ქართულ და ინგლისურ ენებზე.

პროექტის სამუშაოების ადრეულ ეტაპზე ინფორმირებული კონსულტაციების ხელშეწყობის მიზნით, კომპანია:

- მოამზადებს პროექტის ვებ-გვერდს საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდების მიზნით;
- მოამზადებს საინფორმაციო ბიულეტენს ადრეული სამშენებლო სამუშაოების, მათ შორის სამუშაო გრაფიკის, ტრანსპორტის მოძრაობის მარშრუტისა და ინტენსივობის, დასაქმების შესაძლებლობის, მუშაკთა განთავსების ადგილების, კომპანიის საკონტაქტო ინფორმაციისა და ა.შ. შესახებ;
- სამშენებლო სამუშაოების დაწყების შესახებ ინფორმაციას განათავსებს ხელედის რწმუნებულის და ლენტეხის გამგეობის ოფისებში საინფორმაციო დაფებზე, ასევე საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში (როგორცაა მაღაზია, სკოლა და ა.შ.) ხელედში, წანაშა და ლესემაში, ასევე ლენტეხში;

⁷ ადგილობრივი, რეგიონალური და ცენტრალური ბეჭდვითი და სამაუწყებლო მედია, ციფრული/ინტერნეტ გვერდები და ა.შ.

- გაავრცელებს საინფორმაციო ბიულეტენს „ღია კარის“ დღეების დროს (იხილეთ ქვემოთ) და მიაწოდებს საინფორმაციო ბიულეტენს გზასთან ახლოს მცხოვრებ მოსახლეობას, რომლის გამოყენებაც მოხდება სამშენებლო სამუშაოების წარმოებისას.

გარდა ამისა, გასაჯაროვდება შემდეგი დოკუმენტები (ქართულ და ინგლისურ ენებზე):

- ESIA-ს ანგარიში (2017 წ.) და ESIA-ს დამატებითი ანგარიშის პაკეტი (2018 წ.), მათ შორის, მიწის შესყიდვის და საარსებო წყაროების აღდგენის ანგარიში;
- ESIA-ს არატექნიკური რეზიუმე (რომლის სამიზნეს წარმოადგენს დაინტერესებულ მკითხველთა ფართო აუდიტორია) (2018 წ.);
- გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმა (ESAP) (2018 წ.);
- წინამდებარე დოკუმენტი, SEP.

აღნიშნული დოკუმენტების ჩამოტვირთვა შესაძლებელია შპს „ხელედულა ენერჯის“ და EBRD-ის ვებ-გვერდებიდან:

- <http://www.kheledulahpp.ge/>
- <https://www.ebrd.com/esia.html>

მოსახლეობას ინფორმაციის მიღება ასევე შეუძლიათ შპს „ხელედულა ენერჯის“ თბილისის ოფისში ან კიდევ ლენტეხისა და ხელედის საინფორმაციო ცენტრებში:

შპს „ხელედულა ენერჯი“ თბილისი 0162, საქართველო ჭავჭავაძის გამზ. 37-დ	ლენტეხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობა დაბა ლენტეხი, საქართველო თამარ მეფის ქ.N24	სოფ. ხელედის ადმინისტრაციული შენობა ლენტეხის მუნიციპალიტეტი საქართველო
--	---	---

ქართულ და საერთაშორისო ორგანიზაციებს ქართულ და ინგლისურ ვერსიებზე წვდომა ექნებათ შპს „ხელედულა ენერჯი“-ს ვებ-გვერდზე (სადაც დაინტერესებულ პირებს ასევე შეეძლება დასვან კითხვები და მიიღონ პასუხები) და EBRD-ის ვებ-გვერდზე. პროექტის საქმიანობები გაშუქდება ადგილობრივი და რეგიონალური გაზეთის და ასევე, ტელევიზიის მეშვეობით.

7.3. კონსულტაციები და ჩართულობა

სამუშაოების დაწყებამდე ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობის და ინფორმირების მიზნით, კომპანია განახორციელებს „ღია კარის“ დღეებს, ჯამში 2 შეხვედრას, რომლებიც მიეძღვნება დაგეგმილ სამუშაოებს. ერთი ღონისძიება ჩატარდება სოფელ ხელედში და მეორე - ლენტეხში (მოწვეულნი იქნებიან ლესემას და წანაშის მოსახლეობაც). გარდა ამისა, მოეწყობა საინფორმაციო ტური ფარავან ჰესზე, რომელშიც მონაწილეობის მიღება შეეძლება ყველა დაინტერესებულ მხარეს (რა თქმა უნდა ადგილების გათვალისწინებით), პირველ რიგში კი აღნიშნული ტურის სამიზნე იქნება ზემოქმედების ქვეშ არსებული სოფლების წარმომადგენლები.

კონსულტაციის პროცესი მოიცავს EBRD-ს მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ESIA-ს ანგარიშის საჯარო განხილვასაც. ESIA-ს ანგარიშის კონსულტაციები და შეხვედრები მოეწყობა ხელედსა და ლენტეხში, ისევე ღია კარის ფორმატის გამოყენებით. საჭიროების შემთხვევაში ლესემას და წანაშის მოსახლეობისთვის კომპანია უზრუნველყოფს ტრანსპორტირებას.

ღია კარის შეხვედრები საშუალებას მისცემს დაინტერესებულ პირებს განიხილონ კონკრეტული საკითხები, მათ შორის: თემის ინფორმირება/ცნობიერების ამაღლება ფეხით მოსიარულეთათვის / საგზაო უსაფრთხოება; პროექტის სიახლეები; კომპენსაციები ან საარსებო წყაროების აღდგენა; თემის განვითარების ხედვა; დასაქმების შესაძლებლობა, მოლოდინები, ტრენინგები, ბრიფინგები საგზაო ნიშნების განთავსების შესახებ.

7.4. დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის პროგრამა

ცხრილი 2 წარმოადგენს დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის პროგრამას პროექტის ადრეულ ეტაპზე, ESIA-ს გასაჯაროებისა და მშენებლობის ფაზაზე.

ცხრილი 2. დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის პროგრამა

No.	ჩართულობის საშუალებები	დაინტერესებული მხარე / დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფი	საჯარო ინფორმაცია	ვადები	პასუხისმგებლობა	დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობისთვის შესაძლებლობა
1.	კომუნიკაციის საშუალებები					
1.1.	<ul style="list-style-type: none"> ▪ ხელედში PIC-ის დაარსება და შენარჩუნება ▪ PIC გახსნის ცერემონიის ჩატარება პროექტის შესახებ ინფორმაციის მიწოდებისა და კითხვა-პასუხის სესიით; ასევე PIC თანამშრომელთა გაცნობა-წარდგენა საზოგადოებისთვის 	პროექტის ზეგავლენის ქვეშ მოქცეული მხარეები, მოწყვლადი ჯგუფები, სხვა დაინტერესებული მხარეები	ESIA-ს ანგარიში და ESIA-ს დამატებითი პაკეტი	2018 წლის მე-3 ან მე-4 კვარტალი, მშენებლობის დაწყებამდე და გაგრძელდება ოპერირებაში შესვლამდე	შპს „ხელედულა ენერჯი“	მშენებლობის პერიოდში დაინტერესებულ მხარეებს შეუძლიათ ეწვიონ PIC-ს, გაეცნონ დოკუმენტებს, დასვან კითხვები/მიიღონ პასუხები და ა.შ.
1.2.	ვიზიტორთა მომსახურების სერვისის დანერგვა (პროექტის CCO-ს შეუძლია ამ ფუნქციის აღება ადრეული სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე და მშენებლობის დროს).	პროექტის ზეგავლენის ქვეშ მოქცეული მხარეები, მოწყვლადი ჯგუფები, სხვა დაინტერესებული მხარეები	არ მიესადაგება	2018 წლის მე-3 ან მე-4 კვარტალი. ადრეული სამშენებლო სამუშაოების და მშენებლობის დაწყებამდე, ასევე პროექტის განხორციელების მანძილზე	შპს „ხელედულა ენერჯი“	დაინტერესებულ მხარეებს შეუძლიათ მიმართონ კომპანიას კითხვებით ნებისმიერ დროს მშენებლობის და ოპერირების პერიოდში

1.3.	პროექტის ვებ-გვერდის შექმნა ქართულ და ინგლისურ ენებზე	ყველა დაინტერესებული მხარე	პროექტის სიახლეები (მაგ., ESIA-ს შესახებ, დაგეგმილი/წარმოებულ საშუალებები, მიწის შესყიდვა)	2018 წლის მე-3 ან მე-4 კვარტალში და გაგრძელდება პროექტის მანძილზე.	შპს „ხელედულა ენერჯი“	დაინტერესებულ მხარეებს შეუძლიათ მიიღონ შესაბამისი ინფორმაცია პროექტის შესახებ, გამოაგზავნონ კითხვა და მიიღონ პასუხი (ნებისმიერ დროს მშენებლობის და ოპერირების ფაზებში)
1.4	ხშირად დასმული კითხვების (FAQ) ცხრილის შექმნა და რეგულარული განახლება (თვეში ერთხელ), რომლის მიზანია ხშირად დასმულ კითხვებზე თანმიმდევრული პასუხების გაცემა	ყველა დაინტერესებული მხარე	პასუხები ხშირად დასმულ კითხვებზე ხელმისაწვდომი იქნება „ხელედულა ენერჯი“-ს ვებ-გვერდზე და საჯარო საინფორმაციო ცენტრში	2018 წლის მე-3 ან მე-4 კვარტალში და გაგრძელდება პროექტის მანძილზე.	შპს „ხელედულა ენერჯი“	დაინტერესებული მხარეები მიიღებ თანმიმდევრულ პასუხებს ხშირად დასმულ კითხვებზე
2.	ადრეული საშუალებების გასაჯაროება და კონსულტაციები					

2.1.	<ul style="list-style-type: none"> ▪ ადრეული სამუშაოების შესახებ საინფორმაციო ბიულეტენის მომზადება ▪ საინფორმაციო ბიულეტენის განთავსება ხელედის რწმუნებულის და ლენტეხის გამგეობის საინფორმაციო დაფებზე, ასევე საჯაროდ ადვილად ხელმისაწვდომ ადგილებში ხელედის, წანაშის, ლესემასა და ლენტეხში. ▪ საინფორმაციო ბიულეტენის გავრცელება და მიწოდება გზასთან ახლოს მცხოვრები მოსახლეობისთვის, რომლის გამოყენებაც მოხდება სამშენებლო სამუშაოების წარმოებისას. 	ხელედის, წანაშის, ლესემას და ლენტეხის მოსახლეობა	საინფორმაციო ბიულეტენი / ინფორმაცია ადრეულ სამუშაოზე (სამუშაო გრაფიკი, ტრანსპორტის მარშრუტი და ინტენსივობა, დასაქმების შესაძლებლობები, მუშათა განთავსება, კომპანიის საკონტაქტო ინფორმაცია და ა.შ.)	2018 წლის მე-3 ან მე-4 კვარტალი	შპს „ხელედულა ენერჯი“	იქნებიან ინფორმირებულნი
------	--	--	--	---------------------------------	-----------------------	-------------------------

2.2.	<ul style="list-style-type: none"> ▪ 2-ჯერ „ღია კარის“ დღეების ჩატარება ხელედსა და ლენტეხში ადრეულ სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებით ▪ საინფორმაციო ბიულეტენის გავრცელება ღია კარის დღეზე 	ხელედის, წანაშის, ლესემას და ლენტეხის მოსახლეობა და სხვა დაინტერესებული მხარე	<ul style="list-style-type: none"> ▪ მოკლე პრეზენტაცია და ადრეული სამუშაოების საინფორმაციო ბიულეტენი 30 წუთიანი პრეზენტაციისთვის. ▪ ადგილზე იქნებიან ექპერტები მთელი დღის განმავლობაში, ასევე პროექტის დამხმარე მასალები (რუქები, გზშ-ს ანგარიში რეზიუმეთი და ა.შ.) 	2018 წლის მე-4 კვარტალი	შპს „ხელედულა ენერჯი“	პირადი მონაწილეობა და კომუნიკაცია (დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ დაესწონ ღონისძიებას მათთვის ხელსაყრელ ნებისმიერ დროს და დასვან კითხვები, ა.შ.)
2.3.	სასწავლო ტური ფარავან ჰესზე	პროექტის ზეგავლენის ქვეშ მოქცეული მხარეები, სხვა დაინტერესებული პირები (ხელისუფლება, არასამთავრობო ორგანიზაცია, მედია და ა.შ.)	<ul style="list-style-type: none"> ▪ მოკლე პრეზენტაცია და ფარავან ჰესის დათვალიერება 	2018 წლის მე-3 ან მე-4 კვარტალი	შპს „ხელედულა ენერჯი“ შპს „ჯორჯიან-ურბან ენერჯი“ (ფარავან ჰესი)	პირადი მონაწილეობა და კომუნიკაცია
3. ESIA-ს ანგარიშის გასაჯაროება და კონსულტაციები						

3.1.	საჯარო მოსმენების (ხელედასა და ლენტეხში) შესახებ განცხადების გამოქვეყნება გაზეთში და შპს „ხელედულა ენერჯი“-ს ვებ-გვერდზე	ყველა დაინტერესებული მხარე	მოკლე ინფორმაცია პროექტის, ასევე შეხვედრის ადგილის, თარიღისა და დროის შესახებ	2018 წლის მე-4 კვარტალი ყველა დეტალი ცნობილი გახდება 2 კვირით ადრე ადგილისა და საკონტაქტო ინფორმაციის მითითებით.	შპს „ხელედულა ენერჯი“	იქნებიან ინფორმირებულები
3.2.	ESIA-ს ანგარიშის და დამატებითი ESIA-ს ანგარიშის პაკეტის გასაჯაროება: <ul style="list-style-type: none"> ▪ შპს „ხელედულა ენერჯის“ თბილისის ოფისში/ PIC ხელედში ▪ შპს „ხელედულა ენერჯის“ ვებ-გვერდზე ▪ EBRD-ის ვებ-გვერდზე ▪ ხელედის თემის რწმუნებულის ოფისში, ხელედში ▪ ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში 	ძირითადი სამიზნე ჯგუფი: ხელედი, წანაში, ლესემა და ლენტეხი ყველა დაინტერესებული მხარე	ESIA-ს ანგარიში და დამატებითი ESIA-ს ანგარიშის პაკეტი	2018 წლის მე-4 კვარტალი	შპს „ხელედულა ენერჯი“	60 დღიანი გასაჯაროების ვადაში კომპანიისთვის წერილობითი და ზეპირი მოსაზრებების მიწოდება. პროექტის ESIA-სა და დამატებითი ESIA-ს ანგარიშების მოთხოვნა პროექტის მანძილზე ნებისმიერ დროს (პაკეტი ხელმისაწვდომი იქნება პროექტის ვებ-გვერდზე).
3.3	ღია კარის საჯარო მოსმენები ხელედასა და ლენტეხში	ყველა დაინტერესებული მხარე		2018 წლის მე-4 კვარტალი	შპს „ხელედულა ენერჯი“ ადგილობრივი ხელისუფლება	პირადი მონაწილეობა და კომუნიკაცია

3.4	საჯარო შეხვედრა თბილისში	თბილისში არსებულ შესაბამის დაინტერესებულ პირებთან		2018 წლის მე-4 კვარტალი	შპს „ხელედულა ენერჯი“ ადგილობრივი ხელისუფლება	პირადი მონაწილეობა და კომუნიკაცია
3.5.	განმარტებითი შეხვედრები ESIA-ს პაკეტთან დაკავშირებით	ასაკოვანი/მოწყვლადი მოსახლეობა		2018 წლის მე-4 კვარტალი	შპს „ხელედულა ენერჯი“	CCO განუმარტავს ESIA-ს ანგარიშს ასაკოვან/მოწყვლად მოსახლეობას
3.6.	გასაჯაროების 60 დღიან ვადაში დაინტერესებულ მხარეთა შენიშვნები და მოსაზრებების შეგროვება და ანალიზი (იხილეთ ცხრილი 5)	ყველა დაინტერესებული მხარე		2018 წლის მე-3 კვარტალი	შპს „ხელედულა ენერჯი“	შეხვედრის შემდგომი სატელეფონო ზარები ან შეხვედრები, რათა კომპანიამ განუმარტოს პასუხები შენიშვნებზე და მიაწოდოს მოთხოვნილი ინფორმაცია
4	გზმ-ს ანგარიში პროექტის დიზაინის ცვლილებებთან დაკავშირებით: გასაჯაროება და კონსულტაციების პროცესი (გარემოს ნაწილში სამინისტროს კონტროლის ქვეშ)					
4.1	საჯარო განხილვების შესახებ განცხადების გამოქვეყნება კანონით მოთხოვნილ ადგილებში	ძირითადი სამინიზნე ჯგუფი: ხელედი, წანაში, ლესემა და ლენტეხი.	მოკლე ინფორმაცია პროექტის შესახებ, შეხვედრების ადგილის, თარიღისა და დროის მითითებით	2018 წლის მე-3 ან მე-4 კვარტალი	გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	იქნებიან ინფორმირებული
4.2	გზმ-ს დოკუმენტის გასაჯაროება: <ul style="list-style-type: none"> სამინისტროს ვებ-გვერდზე ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში 	ყველა დაინტერესებული მხარე	ეროვნული გზმ-ს დოკუმენტები პროექტის ცვლილებასთან დაკავშირებით			სამინისტროსთვის შენიშვნებისა და მოსაზრებების მიწოდება გასაჯაროების 40 დღიან ვადაში. სამინისტროსგან გზმ-ს ინფორმაციის გამოთხოვანებისმიერ დროს (გზმ-ს ანგარიში იქნება გასაჯაროებული)

4.3	საჯაროს განხილვების ჩატარება სამინისტროს მიერ	ყველა დაინტერესებული მხარე		2018 წლის მე-3 ან მე-4 კვარტალი	გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	პირადი მონაწილეობა და კომუნიკაცია
4.4	დაინტერესებულ მხარეთა შენიშვნების შეგროვება გასაჯაროების 40 დღიან ვადაში	ყველა დაინტერესებული მხარე		2018 წლის მე-3 ან მე-4 კვარტალი		n/a
5	სპეციალური საჭიროებების აქტივობები და ღონისძიებები					
5.1.	მიწის შესყიდვისა და კომპენსაციის პროცედურების შეხვედრები; ასევე საარსებო წყაროების აღდგენის აქტივობებთან დაკავშირებით	ზეგავლენის ქვეშ მყოფი პირები ხელედში, ლესემასა და წანასში	განსახლების გეგმის არსებული ლიფლეტი, ინდივიდუალური ხელშეკრულებები	2018 წლის მე-2 და მე-2 კვარტალი	შპს „ხელედულა ენერჯი“	პირადი მონაწილეობა და კომუნიკაცია
5.2.	კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით გაუგებრობის წარმოშობის შემთხვევაში ფოკუს ჯგუფების/ინდივიდუალური შეხვედრების მოწყობა	ზემოქმედების ქვეშ მყოფი მხარეები	საჭიროების მიხედვით მომზადდება მოკლე მასალა კონკრეტულ საკითხზე	მშენებლობის და ოპერირების ფაზებზე ნებისმიერ დროს	შპს „ხელედულა ენერჯი“	პირადი მონაწილეობა და კომუნიკაცია
5.3.	წანასში, ლესემასა და ხელედში სახლების მდგომარეობის წინა-სამშენებლო შესწავლა, ასევე იმ გზებიც, რომელთა გამოყენებაც მოხდება მშენებლობის დროს (მაგ.: ლენტეხი-ბავარის გზა)	ზემოქმედების ქვეშ მყოფი მხარეები	იხილეთ 4.5. ფეხით მოსიარულებები და საგზაო უსაფრთხოება	სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე, 2018 წლის მე-2 და მე-4 კვარტალი	შპს „ხელედულა ენერჯი“ ხელედის გამგებლის ან სხვა წარმომადგენლის ხელმძღვანელობით	პირადი მონაწილეობა და კომუნიკაცია (ინდივიდუალური ინსპექციის შედეგების ხელმოწერა)

5.4.	პირდაპირი ზემოქმედების ქვეშ მყოფ მოსახლეობისთვის სამუშაოების დაწყებამდე წინასწარ შეტყობინების მიზნით პროექტის გრაფიკის მიწოდება	ზემოქმედების ქვეშ მყოფი მხარეები, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები (ხელედსა და ლენტეხში)	შეტყობინება პროექტის გრაფიკის შესახებ საპროექტო ადგილებზე ნიშნების განთავსება	ლენტეხთან ახლოს მდებარე გზის გადატანის სამუშაოების დაწყებამდე ერთი თვით ადრე, ასევე ჰესის შენობის, გვირაბის გაყვანის, და სხვა მნიშვნელოვანი სამუშაოების დაწყებამდე, ასევე პროექტში მნიშვნელოვანი ცვლილების შემთხვევაში	შპს „ხელედულა ენერჯი“	პირადი/ჯგუფური მონაწილეობა და კომუნიკაცია
5.5.	საგზაო და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოება:					
5.5.1. ინფორმაციის წარდგენა საგზაო მოძრაობის მოცულობისა და ინტენსიურობის შესახებ. ადგილობრივ მოსახლეობასთან კონსულტაციის ჩატარება ქვემოთ ჩამოთვლილთა დასადგენად: (i) სენსიტიური ადგილები, სადაც საგზაო მარეგულირებლები უნდა განთავსდეს (ii) შეიზღუდოს სამშენებლო ტრანსპორტის მოძრაობა.	ზემოქმედების ქვეშ მყოფი მხარეები ხელედში, წანასში, ლესემასა და ლენტეხში	სპეციფიკური ინფორმაციის მომზადება (ბილბორდები, ინტერნეტ-პორტალი სვანეთი ინფო, ლიფლეტები, ტელევიზია, პოსტერები, პრეზენტაცია)	მშენებლობის დაწყებამდე, განახლდეს მშენებლობის დროს		პირადი მონაწილეობა და კომუნიკაცია (დახმარება იმ ადგილების იდენტიფიცირებაში, სადაც უნდა მოხდეს სიჩქარის შეზღუდვა, მიახლოებითი დრო და ადგილმდებარეობები სადაც ტრანსპორტის მოძრაობა უნდა იქნეს თავიდან აცილებული, ა.შ.) იქნებიან ინფორმირებულები	

	5.5.2. საგზაო უსაფრთხოების შესახებ ცნობიერების ამაღლების სემინარების/შეხვედრების ჩატარება ადგილობრივი მოსახლეობისთვის ადგილობრივ საპატრულო დეპარტამენტთან ერთად.	ზემოქმედების ქვეშ მყოფი მხარეები ხელედში, წანასში, ლესემასა და ლენტეხში.		მშენებლობის დაწყებამდე და ყოველწლიურად მშენებლობის დროს.	შპს „ხელედულა ენერჯი“ ლენტეხის საპატრულო დეპარტამენტთან ერთად.	პირადი მონაწილეობა და კომუნიკაცია.
	5.5.3. ადგილობრივ სკოლებში საგზაო უსაფრთხოების გაკვეთილების ჩატარება საპატრულო დეპარტამენტთან ერთად	ადგილობრივი სკოლები ხელედსა და ლენტეხში				
	5.5.4. მოსახლეობისთვის ინფორმაციის მიწოდება ტრანსპორტის მოძრაობის გრაფიკის შესახებ და ასევე წინასწარი შეტყობინება სატრანსპორტო ნაკადის მომატებასთან დაკავშირებით	ზემოქმედების ქვეშ მყოფი მხარეები ხელედში, წანასში, ლესემასა და ლენტეხში	მომზადდეს სპეციალური ინფორმაცია - ბილბორდები, ლიფლეტები, ტელევიზია, პრეზენტაციები	მშენებლობის დაწყებამდე და მშენებლობის პერიოდში (როცა გრაფიკში ცვლილებები დაიგეგმება)	შპს „ხელედულა ენერჯი“	იქნებიან ინფორმირებულები, პირადი მონაწილეობა და კომუნიკაცია
5.6.	თემის მხარდაჭერა (კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა):					
	4.6.1. ვორკშოპები/სემინარები თემთან და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან	სოფლები, რომლებიც მდებარეობენ ლენტეხიდან ხელედამდე (ხელედის თემის)	განვითარების გეგმის კონცეფციის შემუშავება 1-2 სემინარის შემდეგ შემდგომი განხილვებისთვის	2019წ. შემდეგ მოხდება მისი განახლება ოპერირების ფაზაში შესვლამდე	შპს „ხელედულა ენერჯი“ ხელედის თემთან და ლენტეხის მუნიციპალიტეტთან	პირადი მონაწილეობა და კომუნიკაცია თემის სამომავლო განვითარების მიზნით (მაგ., სოფლის მეურნეობა, ტურიზმი)
	5.6.2. თემის მხარდაჭერის გეგმის (Community Support Plan) მომზადება/მოლაპარაკება	გამგეობა, ლენტეხის მუნიციპალიტეტი)	კონცეფცია, სამუშაო ვერსია და საბოლოო გეგმა მშენებლობის ფაზისთვის	2019წ. შემდეგ მოხდება მისი განახლება ოპერირების ფაზაში შესვლამდე	კოორდინირებულად. შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ	

	5.6.3. ადგილობრივ ხელისუფლებასთან კონსულტაციები სოციალური პროექტების არჩევასა და განხორციელების პროცედურებთან დაკავშირებით		სოციალური პროექტების განსაზღვრის მიზნით თანამშრომლობის პროცედურების შემუშავება კომპანიას, ადგილობრივ ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის	2019წ.	არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართვა, რომლებიც მუშაობენ რეგიონში სოციალურ პროექტებზე.	
	5.6.4. განხორციელების მონიტორინგი, შეფასება და ანგარიშგება	ხელედის თემის რწმუნებულები, ლენტეხის მუნიციპალიტეტი სხვა დაინტერესებული მხარეები	წლიური შეფასების შეტყობინება განახლებული გეგმა ოპერირების ფაზისთვის	პროექტების დაწყებიდან 1 წლის შემდეგ (2020 წლის მე-4 კვარტალი) ექსპლუატაციაში შესვლამდე		
5.7.	<p>დასაქმების შესაძლებლობა, ტრენინგები, მოლოდინები, გამოწვევები:</p> <p>5.7.1. დასაქმების მსურველთა ტრენინგები სამუშაო პირობებზე (მშენებლობა)</p> <p>5.7.2. სამუშაო ძალის კვალიფიკაცია: სათემო ვორკშოპები და ახალგაზრდა თაობის პროფესიული ხელმძღვანელობა</p>	<p>მუშათა და ახალგაზრდების სამუშაო ასაკი:</p> <ul style="list-style-type: none"> - ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირების; - ხელედის თემის სხვა სოფლის მაცხოვრებელთა; - ლენტეხის მუნიციპალიტეტის სხვა სოფლების მაცხოვრებელთა. 	სპეციფიკური მასალები, ლიფლეტები	მშენებლობის დაწყებამდე და მშენებლობის პირველი წლის პერიოდში (შემდგომ საჭიროების მიხედვით)	შპს „ხელედულა ენერჯი“	იქნებიან ინფორმირებულები, პირადი მონაწილეობა და კომუნიკაცია

5.8	ინტერნეტში იმ კომპანიების იდენტიფიცირება, რომლებიც სთავაზობენ ჯომარდობის ტურებს, მათ შორის მდინარე ხელედულაზე	ჯომარდობის ტურების კომპანები, მათ შორის მდინარე ხელედულაზე	<p>ინფორმაციის მიწოდება „ხელედულა-3“-ის მშენებლობისა და მდებარეობის შესახებ.</p> <p>ინფორმაციის მოპოვება იმის შესახებ, რომ ზედა ხელედულაზე შესამღებელია ნაოსნობა.</p> <p>ინტერნეტის მეშვეობით ზოგადი ინფორმაციის მიწოდება ჯომარდობის მოყვარულთათვის პროექტის შესახებ, ასევე მდინარე ხელედულას აუზში დაგეგმილი სხვა ჰიდრო პროექტების შესახებ.</p>	2019 წლიდან.	შპს „ხელედულა ენერჯი“	
-----	---	--	--	--------------	-----------------------	--

8. საჩივრების მექანიზმი

პროექტის განხორციელებამ შესაძლოა გამოიწვიოს უკმაყოფილება და უთანხმოება. რათა დროულად და ეფექტურად მოხდეს მათი პრევენცია და/ან გადაჭრა EBRD PR10 მოქალაქეების საჩივრებისა და წუხილების მოსაგვარებლად მოითხოვს მუდმივი მექანიზმის დანერგვასა და შენარჩუნებას.

პროექტის საჩივრების მექანიზმი ღიაა ყველა შიდა და გარე დაინტერესებული მხარისთვის, კერძოდ კი ზეგავლენის ქვეშ მოქცეული მოსახლეობისთვის და მუშებისთვის. მათ შეუძლიათ კითხვები გაუზიარონ ქვემოთ მითითებულ პროექტის საკონტაქტო პირებს როგორც ზეპირად, ასე წერილობით, ელ.ფოსტით ან დაუკავშირდნენ ტელეფონით.

შპს „ხელედულა ენერჯი“-ს საკონტაქტო მონაცემები:

A. შპს „ხელედულა ენერჯი“ - თბილისი

ელ.ფოსტა	info@kheledulahpp
ტელეფონი	+995 577 04 50 29
მისამართი	საქართველო, თბილისი 0162, ჭავჭავაძის ქ.37-დ.

B. შპს „ხელედულა ენერჯი“ - ხელედი

სახელი	დავით წერეთელი
ელ.ფოსტა	info@kheledulahpp
ტელეფონი	+995 599 86 19 68
მისამართი	საქართველო, სოფ. ხელედი, ხელედის გამგებლის ოფისი

კითხვების გაგზავნა ასევე შესაძლებელია ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან, კერძოდ ხელედის გამგებელთან ან ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგებელთან, რომლებიც შემდგომ მიაწვდიან კომპანიას:


ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგეობა საქართველო, ლენტეხი, თამარ მეფის ქ. N24 ტელეფონი: +995 599 10 29 28 ელ.ფოსტა: municipality.lentechi@yahoo.com	ხელედის გამგებელი - ანა ბენდელიანი საქართველო, სოფ. ხელედი ტელ: +99 5 599 85 27 66
---	--

საჩივრების მექანიზმის კოორდინირება მოხდება CCO-ს მიერ, რომელიც ნებისმიერ მიღებულ საკითხს შეიტანს პროექტის დაინტერესებულ მხარეთა მოთხოვნათა და საჩივრების მონაცემთა ბაზაში (ცხრილი 3). ის კითხვები და მოთხოვნები, რომლებზეც ვერ მოხერხდა პასუხის გაცემა დამაკმაყოფილებლად, დარეგისტრირდება როგორც საჩივარი და პასუხი გაეცემა კომიტეტის მიერ, რომელის შემადგენლობაში შევა კომპანიის გარემოსდაცვითი და სოციალური მენეჯერი, მშენებელი კონტრაქტორის გარემოსდაცვითი და სოციალური მენეჯერი, და ლენტეხის/ხელედის გამგებელი.

კომპანია დაარეგისტრირებს, როგორც ხელმოწერილ ასევე ანონიმურ საჩივრებსაც. თუმცა, თუ მომჩივანს სურს პასუხის მიღება, მაშინ აუცილებელია მისი საკონტაქტო ინფორმაციის მითითება. საჩივრის ფორმის მიხედვით, CCO პასუხს გასცემს ქვემოთ მითითებული ცხრილის მიხედვით, ასევე უზრუნველყოფს, რომ საჩივარი არ დაიხურება მანამ, ვიდრე არ დაკმაყოფილდება მომჩივანი პასუხით ან აირჩევს საჩივარზე რეაგირების შემდგომ პროცედურებს.

კომპანია მოსთხოვს კონტრაქტორ კომპანიებს დაარეგისტრირონ მათ მერ მიღებული ნებისმიერი საჩივარი და შემდგომ რეაგირებისათვის მიაწოდონ შპს „ხელედულა ენერჯი“-ს, რომელიც თავის მხრივ შეიყვანს დაინტერესებულ მხარეთა მოთხოვნებისა და საჩივრების

მონაცემთა ბაზაში. საკითხის არსიდან გამომდინარე, კომპანია საჭიროების შემთხვევაში ჩართავს კონტრაქტორ კომპანიას საჩივრის მოგვარებაში.



ნახაზი 2. ხელედულა 3-ის საჩივართა მექანიზმის სქემა

9. მონიტორინგი და ანგარიშგება

წარმატებული ჩართულობა დამოკიდებულია მუდმივ ძალისხმევაზე, შესრულების მონიტორინგსა და ანალიზზე, შეცვლილ გარემოებებთან შესაბამის ადაპტაციასა და დაინტერესებულ მხარეთა ინფორმაციის საჭიროებებზე. ყველა დაინტერესებული პირის მოთხოვნათა, შეკითხვებისა და საჩივრების სისტემური რეგისტრაცია მოხდება ქვემოთ მითითებული ცხრილი 3-ის მიხედვით.

ცხრილი 3. დაინტერესებულ მხარეთა მოთხოვნებისა და საჩივრების მონაცემთა ბაზა

თარიღი და N	სახელი და გვარი / მისამართი	კატეგორია	კითხვა / საჩივარი	პასუხი	პასუხის მეთოდი და რესპოდენტის სახელი და გვარი	დამაკმაყოფილებელია პასუხი	სტატუსი (დია/დახურული)
2018.10.22. INQ3 (აღნიშნავს მესამე კითხვას მიღებულს 2018 წლის 22 ოქტომბერს)		- ადგილობრივი მაცხოვრებელი - PAP - მუშა - სხვა			მაგ.: მობ შეტყობინება, ზეპირი, ელ. ფოსტა და ა.შ.	კი/არა	თუ კი, მაშინ საჩივარი დახურულია. თუ არა, მაშინ საჭიროებს დამატებით სვეტებს მარჯვნივ

შპს „ხელედულა ენერჯი“ განახორციელებს SEP-ის და შეაფასებს და ანალიზს გაუკეთებს მის ეფექტურობას. დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის მონიტორინგის გაუმჯობესების მიზნით გამოყენებული იქნება შემდეგი ინდიკატორები:

- SEP ხელმისაწვდომია საზოგადოების მოსაზრებებისთვის;
- დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის პროგრამაში მითითებული აქტივობები სრულდება გრაფიკის მიხედვით;
- საჯარო შეხვედრების და კონსულტაციების რაოდენობა და ასევე დამსწრე პირების აღრიცხვა (უნდა მომზადდეს შეხვედრის ოქმები);
- საჯარო საინფორმაციო ცენტრში ვიზიტორთა რაოდენობა (როცა გაიხსნება) და მოთხოვნილი საკითხები;
- სხვადასხვა საშუალებებით მიღებულ დაინტერესებულ პირთა შენიშვნებისა და მოსაზრებების რაოდენობა;
- რა ტიპის/კატეგორიის შენიშვნებსა და მოსაზრებების უპასუხა კომპანიამ და რომელი საშუალებების გამოყენებით;
- ადგილობრივ, რეგიონალურ და ცენტრალურ მედიაში პროექტის გაშუქების რაოდენობა;
- პროექტთან დაკავშირებით მიღებული საჩივრების რაოდენობა და მათი კატეგორიები (დასაქმება, მიწის გამოყენება, გარემოსდაცვითი საკითხები, შრომითი ურთიერთობები და ა.შ.);
- დადგენილ მაქსიმალურ ვადებში მოგვარებული საჩივრების რაოდენობა;

- დარჩენილი გადაუჭრელი საჩივრების რაოდენობა.

10. ხშირად დასმული კითხვების ცხრილი

შპს „ხელედულა ენერჯი“ მოახდენს ხშირად დასმული კითხვების (FAQ) ცხრილის რეგულარულ განახლებას (ცხრილი 4). აღნიშნული ცხრილის გადახედვა მოხდება ყოველთვიურად და საჭიროების შემთხვევაში განახლდება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ, იმ კითხვების მიხედვით, რომელთაც საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცერი (CCO) დაარეგისტრირებს. წინამდებარე ცხრილის მიზანია უზრუნველყოს დაინტერესებულ მხარეთა კითხვებზე თანმიმდევრული პასუხების მიწოდება.

ცხრილი 4. ხშირად დასმული კითხვები (FAQs)

#	კითხვა	პასუხი
1.	ვინ არის პროექტის განმახორციელებელი?	პროექტს ახორციელებს კომპანია შპს „ხელედულა ენერჯი“, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში.
2.	აქვს თუ არა კომპანიას ჰიდროენერგო პროექტების განხორციელების გამოცდილება საქართველოში?	კომპანიამ უკვე განახორციელა ფარავან ჰესის პროექტი, რომელიც უკვე ექსპლუატაციაშია შესული.
3.	როდის დაიწყება ხელედულა-3-ის მშენებლობა?	მშენებლობა 2018 წელს.
4.	რამდენ ხანს გაგრძელდება სამშენებლო სამუშაოები?	სამშენებლო სამუშაოები დაახლოებით 3 წელი გაგრძელდება.
5.	ჰიდროენერგო პროექტი ხომ არ შეუქმნის საფრთხეს მოსახლეობას?	ჩატარდა ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება, რომლის ანგარიში ხელმისაწვდომია ქართულ ენაზე ხელედსა და ლენტეხში. ძირითადი რისკი მშენებლობის დროს დაკავშირებულია გაზრდილ სატრანსპორტო მოძრაობასთან.
6.	პროექტის განმახორციელებელი და კონტრაქტორი კომპანია რამდენად იცავს კანონს?	პროექტის განმახორციელებელი და კონტრაქტორი კომპანია იცავს არა მხოლოდ ქართულ, არამედ საერთაშორისო სტანდარტებსაც.
7.	შემიძლია მუშად დასაქმდე?	მშენებლობა განხორციელდება კონტრაქტორი კომპანიის მიერ, რომელსაც დასჭირდება მუშა-ხელი. დასაქმების შესაძლებლობები განთავსდება საინფორმაციო დაფებზე ხელედისა და ლენტეხის გამგეობაში.
8.	არის თუ არა რაიმე კონკრეტული პირობები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს დასაქმების მსურველი?	კი. თუკი თქვენი დასაქმების შესაძლებლობა არსებობს მაშინ თქვენ უნდა: <ul style="list-style-type: none"> ▪ წარმოადგინოთ მართვის მოწმობის ან კვალიფიკაციის დამადასტურებელი მტკიცებულება (მაგ.: სატვირთო მანქანის მძღოლის პოზიციაზე სატვირთო მანქანის მართვის მოწმობა); ▪ გამოხატოთ მზაობა ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი წესების დაცვაზე სამშენებლო ობიექტებზე; ▪ დასაქმება მოხდება ქართული კანონმდებლობის შესაბამისად.

9.	შემიძლია თუ არა ჩავერთო პროექტში, როგორც კონტარქტორი ან სერვისის მიმწოდებელი?	მიაწოდეთ თქვენი საკონტაქტო ინფორმაცია და რეკომენდაციები კომპანიას (საკონტაქტო: ნოდარ კურტანიძე +995 577 404499) რომელიც ამ საკითხს თქვენთან ერთად განხილავს.
10.	მოხდება თუ არა ხალხის განსახლება და ქონების ექსპროპრიაცია?	არც განსახლება და არც ექსპროპრიაცია არ განხორციელდება.
11.	თუ პროექტთან დაკავშირებით რამე პრობლემა მაქვს, როგორ შემიძლია მისი გადაჭრა?	მიაწოდეთ თქვენი საკითხი CCO-ს, რომელიც დაგეხმარებათ თქვენი პრობლემის მოგვარებაში. თუ ეს არ იქნება საკმარისი, მაშინ საჩივრების მექანიზმი არსებობს იმისათვის, რათა მოხდეს საკითხის მოგვარება ურთიერთშეთანხმებით.
12.	მიიღებს თუ არა მოსახლეობა კომპენსაციას?	ვინც პროექტის გამო კარგავს ქონებას მიიღებს კომპენსაციას, რომელიც ფარავს დანაკარგს.
13.	მოხდება თუ არა მდინარის დაშრობა მსგავსად ცაგერის კაშხლისა?	არა, რადგან მდინარეში მუდმივად იქნება მინიმალური ეკოლოგიური ხარჯი წყლის ბიომრავალფეროვნების შესანარჩუნებლად.

ცხრილი 5. საჯარო კონსულტაციების შეკითხვათა რეესტრი

თარიღი	ადგილი	დაინტერესებული მხარე (სახელი და გვარი, ან ინტერესი პროექტის მიმართ, სქესი)	შეკითხვა	გაცემული პასუხი (თუკი ასეთი არსებობს)